



407/3-81/22 2 18012022

407/3-81/22

18-01-2022

ქალაქ მცხეთის მერიას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153³ მუხლის თანახმად, სამართალდარღვევად მიიჩნევა გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე. გთხოვთ, მომაწოდოთ ის ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს თქვენს მუნიციპალიტეტში შესაბამისი ნებართვის მისაღებად დადგენილ პროცედურებს. აგრეთვე, ინფორმაცია იმის შესახებ, ვინაა ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო, ასევე სტატისტიკა - ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენ ფიზიკურ/იურიდიულ პირზე გაიცა შესაბამისი ნებართვა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
 მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია
 GEORGIA
 MTSKHETA MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 34-342204692
 თარიღი: 15/02/2022
 პინი: 3873

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

პარლამენტის წევრს
 ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

თქვენი 2022 წლის 18 იანვრის N407/3-81/22 წერილის პასუხად, რომლითაც ითხოვთ ნორმატიული აქტის დასახელებას, რომელიც განსაზღვრავს გარე ვაჭრობის ნებართვის მისაღებად დადგენილ პროცედურებს და აგრეთვე, ინფორმაციას მცხეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის ნებართვის გამცემი უფლებამოსილი პირი/ორგანოს შესახებ, გაცნობებთ:

2017 წლის 17 ივლისის მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია N15 დადგენილება - "მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ", ასევე 2017 წლის 27 იანვარს ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ N2 დადგენილება - "ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის, გამოფენის და ბაზრობის განთავსების რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ", თუმცა ასახლი რეალობიდან გამომდინარე საჭირო გახდა ასახლი წესის შემუშავება, რაზეც აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა.

ამ ეტაპზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას გარე ვაჭრობის რეგულირების წესი არ აქვს დამტკიცებული, აქედან გამომდინარე ბოლო ორი წლის განმავლობაში არც ერთ ფიზიკურ/იურიდიულ პირზე შესაბამისი ნებართვა არ გაცემულა.

დimitრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
 ელექტრონული ხელმოწერა/
 ელექტრონული შტამპი





416/3-81/22 2 18012022

416/3-81/22

18-01-2022

ქალაქ თბილისის მერიას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153³ მუხლის თანახმად, სამართალდარღვევად მიიჩნევა გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე. გთხოვთ, მომაწოდოთ ის ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს თქვენს მუნიციპალიტეტში შესაბამისი ნებართვის მისაღებად დადგენილ პროცედურებს. აგრეთვე, ინფორმაცია იმის შესახებ, ვინაა ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო, ასევე სტატისტიკა - ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენ ფიზიკურ/იურიდიულ პირზე გაიცა შესაბამისი ნებართვა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია



წერილის ნომერი: **17-0122045585**
 თარიღი: **14/02/2022**
 პინი: **9251**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი
 მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი N8

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შემოსული წერილით (14-01220271947-17 27.01.2022წ.) გადმოგზავნილ იქნა თქვენი (18.01.2022წ. N408/3-81/22) განცხადება, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს მეორე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „კოდექსის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე სივრცის დაგეგმარების, ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის სამართლებრივი მოწესრიგება.“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „I-IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო განისაზღვრება საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით.“ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 93-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია მშენებლობის შეტყობინება ან მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის შეტყობინების შეთანხმების ან მშენებლობის ნებართვის გაცემის უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ორგანოს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილებაში „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ მოცემულია I კლასის შენობა-ნაგებობებისა და მშენებლობის განმსაზღვრელი მახასიათებლები, რომლის მიხედვითაც I კლასის შენობა-ნაგებობას მიეკუთვნება: საზოგადოებრივ ტერიტორიებზე გარე ვაჭრობისათვის განკუთვნილი 2,5 მ-მდე სიმაღლისა და 6 მ2-მდე ფართობის მქონე დროებითი შენობა-ნაგებობები ან/და დანადგარები.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესი და პირობები. შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, სარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით, პირი უფლებამოსილია მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს.

საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს 153³ მუხლით გათვალისწინებულია ჯარიმა გარე ვაჭრობისთვის შესაბამისი ნებართვის გარეშე. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-89 დადგენილებით „ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ“ პირველი პუნქტის თანახმად „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობად მიჩნეულია ქალაქის ქუჩებზე, მოედნებსა და ტროტუარებზე, ასევე დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა.“ ამავე რეგლამენტის მეოთხე მუხლის მიხედვით „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით რეგულირდება გარე ვაჭრობის კონკრეტული ადგილები, ამ ადგილებით სარგებლობის ფორმები, სადღესასწაულო და წინასადღესასწაულო დღეებში, ასევე სხვა ფართომასშტაბიანი ღონისძიებებისა და აქციების მოწყობისას გარე ვაჭრობა და ამისათვის განსახორციელებელი საჭირო ღონისძიებები.“

პატივისცემით,

მამუკა ჯაყელი

მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





402/3-81/22 2 18012022

402/3-81/22

18-01-2022

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153³ მუხლის თანახმად, სამართალდარღვევად მიიჩნევა გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე. გთხოვთ, მომაწოდოთ ის ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს თქვენს მუნიციპალიტეტში შესაბამისი ნებართვის მისაღებად დადგენილ პროცედურებს. აგრეთვე, ინფორმაცია იმის შესახებ, ვინაა ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო, ასევე სტატისტიკა - ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენ ფიზიკურ/იურიდიულ პირზე გაიცა შესაბამისი ნებართვა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
MUNICIPALITY COUNCIL OF TKIBULI



წერილის ნომერი: 75-75220217
თარიღი: 21/01/2022
პინი: 9122

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა;

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული თქვენი 2022 წლის 18 იანვრის №402/3-81/22 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯერჯერობით არ მიუღია ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს გარე ვაჭრობის რეგულირების წესს.

პატივისცემით;

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





415/3-81/22 2 18012022

415/3-81/22

18-01-2022

ქალაქ რუსთავის მერიას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 153³ მუხლის თანახმად, სამართალდარღვევად მიიჩნევა გარე ვაჭრობა შესაბამისი ნებართვის გარეშე. გთხოვთ, მომაწოდოთ ის ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს თქვენს მუნიციპალიტეტში შესაბამისი ნებართვის მისაღებად დადგენილ პროცედურებს. აგრეთვე, ინფორმაცია იმის შესახებ, ვინაა ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო, ასევე სტატისტიკა - ბოლო ორი წლის განმავლობაში რამდენ ფიზიკურ/იურიდიულ პირზე გაიცა შესაბამისი ნებართვა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: 38-3822035183
თარიღი: 04/02/2022
პინი: 2878

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარე წლის 18 იანვარს შემოსული თქვენი N415/3-81/22 წერილის (რეგისტრირებული დოკუმენტი: N02-382201857-38) პასუხად გაცნობებთ, რომ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს მიერ 2010 წლის 22 ოქტომბერს მიღებული იქნება N28 დადგენილება თვითმმართველ ქალაქ რუსთავში გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ. თუმცა, დღეის მდგომარეობით არ არის დამტკიცებული გარე ვაჭრობის კონკრეტული ადგილები და აღნიშნული ადგილების სარგებლობის ფორმები.

პატივისცემით,

ოთარი ტატალაშვილი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

